



მეცხეთის უნივერსიტეტი

№ 2 (268) თებერვალი, 2020 წელი

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან



„უნივერსიტეტმა იცის, სად მიდის, რა გზა აქვს გასავლელი და როგორ უნდა გაიაროს ის“

ჟურნალისტის კითხვებს პასუხებს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ასოცირებული პროფესორი მანა ბერიძე

– სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, მიენიჭა ავტორიზაცია. გილოცავთ, ქალბატონო მანა, ამ დიდ წარმატებას. მინდა, ჩვენი გაზეთის მკითხველსაც ვაგრძობინოთ, რატომ არის ასეთი მნიშვნელოვანი ავტორიზაცია უნივერსიტეტისათვის და არა მარტო მისთვის? რა გვანიჭებს სიხარულის ასეთ დიდ განცდას?

– დიდი მადლობა. მაგალითს თქვენგან ავიღებ და მეც დავინყებ მილოცვით. მივულოცავ უნივერსიტეტს ძალიან დიდ წარმატებას. 2020 წლის 20 თე-

ბერვალს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, მიიღო ავტორიზაცია ექვსი წლის ვადით. ეს არის სრული ვადა. მე ვულოცავ უნივერსიტეტის თითოეულ თანამშრომელს, თითოეულ სტუდენტს, ვულოცავ საზოგადოებას, ვულოცავ სამცხე-ჯავახეთს ჩვენი უნივერსიტეტის ამ წარმატებას.

სიმბოლურია, თითქოს, ეს ყველაფერი, რადგან ავტორიზაცია უნივერსიტეტის 30 წლის საიუბილეო თარიღს დაემთხვა. ვისარგებლებ შემთხვევით და უნივერსიტეტს მივულოცავ ორივე თარიღს. და მაინც, დავინყებ იუბილედან.

მივულოცავ 30 წლის იუბილეს უნივერსიტეტს, რომელმაც, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, გაუძლო საქართველოს უახლესი ისტორიის ძალიან

რთულ პერიოდს, რომელმაც თავისი სიტყვა თქვა და სამხრეთ საქართველოში დამკვიდრდა, როგორც ერთ-ერთი ძლიერი საგანმანათლებლო კერა. ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი. 30 წლიანი განვითარების გზა იყო უნივერსიტეტის ჩამოყალიბებისთვის, სამცხე-ჯავახეთისთვის და, საერთოდ, საქართველოს საგანმანათლებლო სივრცისთვის ძალიან მნიშვნელოვანი. სწორედ, ამ 30 წლიანი განვლილი გზის გადმოსახედიდან იქნის მნიშვნელოვანს მოპოვებული ავტორიზაცია.

– დიდი შედეგი ყოველთვის დიდი შრომის ნაყოფია. როგორი იყო ავტორიზაციისთვის სამზადისის პროცესი? რთული იყო მიზნისკენ სავალი გზა?

– ავტორიზაციისთვის მზადებას წინ უძღოდა ურთულესი სამუშაო პროცესი. მინდა, დიდი მადლიერება გამოვხატო

იმ ადამიანების მიმართ, ვინც ამ პროცესში იყო ჩართული. ეს იყო ძალიან საპასუხისმგებლო სამუშაო, მოითხოვდა ძალების სრულ მობილიზებას. ვერცერთი რგოლი ვერ დარჩებოდა ავტორიზაციის პროცესის მიღმა. შესაბამისად, დიდი მადლობა მათ, ვინც აქტიურად მიიღო მონაწილეობა, ვინც თავად მოამზადა ავტორიზაციის პროცესისთვის აუცილებელი რესურსი და, საბოლოო ჯამში, ვინც ექსპერტების ვიზიტის დროს ბრძანდებოდა უნივერსიტეტში და გვერდით დაუდგა მას. ასევე, განსაკუთრებული მადლიერება მინდა გამოვხატო ავტორიზაციის საბჭოს თითოეული წევრის მიმართ, რომელთაც დაინახეს უნივერსიტეტის პროგრესი, რომელთაც ადექვატურად შეაფასეს ეს პროგრესი და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს მისცეს საშუალება, გააგრძელოს განვითარების გზა.

გაგრძელება მე-4 გვ.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი – სოფლის ქანა სამხრეთ საქართველოში



გამოცხადებული ვაკანტური ადგილებიდან სახელმწიფოს მიერ ფინანსდება – 320. დაფინანსებულ პროგრამაზე ადგილები გადაანაწილდება ეროვნულ გამოცდაზე მიღებული ქულებისა და უნივერსიტეტის პრიორიტეტების შესაბამისად.



2020 წლის 20 თებერვალს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს №02 გადაწყვეტილების საფუძველზე, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიენიჭა ავტორიზაცია!

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2019-2020 სასწავლო წელს აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას შემდეგ მიმართულებებზე

განათლებლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

- ისტორია (ახალციხე)
- ქართული ფილოლოგია (ახალციხე, ახალქალაქი)
- ინგლისური ფილოლოგია (ახალციხე)
- თურქული ფილოლოგია (ახალციხე)
- დაწვებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ახალციხე)

სასკოლში დაფინანსებით

იურიდიული ფაკულტეტი

- საჯარო მმართველობა (ახალციხე, ახალქალაქი)
- სამართალი (ახალციხე)

სწავლის ღირებულება 2250 ლაბი

ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

- ეკონომიკა (ახალციხე, ახალქალაქი)
- ბიზნესის ადმინისტრირება (ახალციხე)

სწავლის ღირებულება 2250 ლაბი

სასკოლში დაფინანსებით

ინჟინერიის, აგრარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი

- ინფორმაციული ტექნოლოგიები (ანალიტიკა)
- ეკოლოგია (ანალიტიკა)
- აგრონომია (ანალიტიკა)
- ვეტერინარიის ინტეგრირებული სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამა (ანალიტიკა)



სასკოლო დასახლება

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ახალციხესა და ახალქალაქში

- სომხურენოვანთათვის
- აზერბაიჯანულენოვანთათვის
- აფხაზურენოვანთათვის
- ოსურენოვანთათვის

სწავლის ღირებულება 2250 ლარი

სამაგისტრო პროგრამები

- ქართველური ენათმეცნიერება
- ქართული ლიტერატურის ისტორია
- საქართველოს ისტორია
- ბიზნესის ადმინისტრირება
- ასტრონომია
- ბიზნეს-ინფორმატიკა
- აგროტექნოლოგია
- სისხლის სამართალი

სწავლის ღირებულება 2000 ლარი

ბანათლების მალაღობრივი ხარისხის უზრუნველსაყოფად ფუნქციონირებას სასწავლო პანდემიის ადმინისტრირების პანდემიის საგამდობო ცენტრი – გამდობრივი ჩადების უწყვეტად უზრუნველყოფის პანდემიით



უნივერსიტეტში ყველა ბიზნესი უკმარისი, რათა მომავალში თანამდებობის მაღალკვალიფიციური განათლება და განდევნის კონკურენტუნარიანი კადრი



უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი

უნივერსიტეტში მოქმედი თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული არიან შესაბამისი დარგის მაღალკვალიფიციური აკადემიური / მოწვეული პერსონალი, რომელთაც აქვთ იმპაქტფაქტორიანი და სხვა რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალებში მაღალი სამეცნიერო აქტივობა.



მატირიალურ-ტექნიკური ბაზა



2020-2021 საწავლო წელს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სასწავლო უნივერსიტეტი პირველად მიიღებს აბიტურენტებს სასწავლო მიმართულებების მიხედვით დაფინანსებულ ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამაზე

უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის დაგეგმვა ხორციელდება ECTS-ის (კრედიტების დაგეგმვისა და ტრანსფერის ევროპული სისტემა) მეშვეობით

სწავლება ხორციელდება სემესტრულად

სემესტრის მოცულობა – 30 კრედიტი (პროგრამული)

სასწავლო პროცესის დაგეგმვა



სამეცნიერო კონფერენციები

- დედაენის დღისადმი მიძღვნილი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია (24 აპრილი, 2019)
- პროფესორ-მასწავლებელთა და დოქტორანტთა სამეცნიერო კონფერენცია (16 მაისი, 2019)
- მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენცია „განათლების თანამედროვე გამოწვევები“ (28 მაისი, 2019)
- რესპუბლიკური ონომასტიკური კონფერენცია – „თანამედროვე ონომასტიკური პრობლემები“ (28-29 სექტემბერი, 2019).



საერთაშორისო ურთიერთობები

უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმი ამერიკის, გერმანიის, ინგლისის, თურქეთის, საბარძეთის, რუმინეთის, ესტონეთისა და სხვა ქვეყნების პარტნიორ უნივერსიტეტებთან, მათ შორის:

- მანჩესტერის უნივერსიტეტი (ინგლისი)
- ორგანიზაცია „ლოგო“ (გერმანია)
- კრაკოვის ტექნოლოგიების უნივერსიტეტი (პოლონეთი)
- ლომის უნივერსიტეტი (პოლონეთი)
- ვარშავის პედაგოგიური უნივერსიტეტი (პოლონეთი)
- რუსომბერგის კათოლიკური უნივერსიტეტი (სლოვაკეთი)
- ალექსანდრე იოან კუზას უნივერსიტეტი (რუმინეთი)
- ტარტუს უნივერსიტეტი (ესტონეთი)
- მანასის ვირჯილ-თურქული უნივერსიტეტი (ვირჯინია)
- კავკასიის უნივერსიტეტი ასოციაცია
- კავკასიის (ერსის) უნივერსიტეტი (თურქეთი)
- არტანუჯის უნივერსიტეტი (თურქეთი)
- ართვინის უნივერსიტეტი (თურქეთი)
- ათათურქის უნივერსიტეტი (თურქეთი)
- ნახიჭევანის უნივერსიტეტი (აზერბაიჯანი)
- ერევანის სასწავლო უნივერსიტეტი (სომხეთი)

საერთაშორისო პროექტები

უნივერსიტეტში ხორციელდება 4 ინსტიტუციური ბანკითარების პროექტი, რომლის ფარგლებშიც უნივერსიტეტი თანაგროგნოვს ევროპის ათაულოვით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან



გაცვლითი პროექტები

- Erasmus +
- Credit Mobility (პირდაპირი მოხილვა)
- მეგლანა





სამეცნიერო ბიბლიოთეკა

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელიც ჩართულია EBSCOHost-ის (სამეცნიერო ჟურნალების სრულტექსტიან მონაცემთა ბაზა) ელექტრონული რესურსების სისტემაში; სელმისაწვდომია, აგრეთვე, ელექტრონული კატალოგი Openbiblio



ზამთრის, ზაფხულის და შამოდგომის სკოლები, სართავორისო პროექტები და სამინარები

უნივერსიტეტის გამომცემლობა

გამომცემლობაში იბეჭდება საავტორო წიგნები, ჯრიფრებული სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები, სამეცნიერო შრომები, სარეკლამო ბროშურები და სხვა ბეჭდური პროდუქცია.



უნივერსიტეტის სტამბა ემსახურება არა მარტო სასწავლებელს, არამედ მთელ რეგიონს.

სპორტი



კულტურა



სტუდენტური თვითმმართველობა

აქტიურ სტუდენტურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი წვლილი სტუდენტურ თვითმმართველობას შეაქვს. სხვადასხვა ფაკულტეტისა და კურსის სტუდენტებისგან შემდგარი ჯგუფი გვემავს და ახორციელებს არაერთ დონისმიებას.

რეგიონული ახალგაზრდული ფორუმი



კურსდამთავრებულთა გამოსაშვები ცერემონია



SKYE CLUB



ექსკურსია ვარძიაში



სამომავლო გეგმები

გადავაქციოთ ახალციხე და ახალქალაქი საუნივერსიტეტო ქალაქებად!

თითოეული ურსდამთავრებული იყოს პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრი



ინტერვიუ

ქვეყნის უნივერსიტეტი

ტეხულად ფუნქციონირებს დაწყებითი განათლების მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა...

ამ ეტაპზე ამ სიახლეებით გვიან და დავამთავროთ გასავლელი ექვსი წელი...

ჩემი დამოკიდებულება არის ძალიან ნათელი. პირველი - მე დარწმუნებული ვარ...

ამ მხრივ სერიოზული პერსპექტივები იკვეთება ახალქალაქში...

და უმაღლესი განათლების მაგალითზე...

მაჩინა ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება...

თქვენ უნივერსიტეტის მთავარ პრიორიტეტებს შორის დაასახელებთ...



ხელეუბნები სამეცნიერო კვლევა, კვლევითი მიმართულება...

სამეცნიერო კვლევა, კვლევითი მიმართულება...

განათლების განვითარების თვალსაზრისით...

განათლების განვითარების თვალსაზრისით...

საშემდგომი პროგრამები: საბაკალავრო საქმე...

რა ც შეუხება სხვა პროგრამებს, უნივერსიტეტი ახალციხეში...

წარმოიდგინეთ, უახლოესი პერიოდის შრომის ბაზრისთვის ძალიან საჭირო მასწავლებლებს გამოვზრდით...

ახალქალაქში, ძალიან გასაგები ინტერესის გამო, განხორციელდება სომხური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის 300 კრედიტული პროგრამა...

ერთი სიტყვით, განათლების მიმართულებების პროგრამები, ანუ მასწავლებლის მომზადების პროგრამები...

ანუ შეიძლება ვცნობოთ საზოგადოებას, რომ მომავალი სასწავლო წლიდან დასახელებულ პროგრამებზე უნივერსიტეტი უკვე მიიღებს ახალგაზრდებს?

დიახ, წელს დავიწყებთ ამაზე მზადებას, გვიანდა, რომ წლის ბოლომდე ეს პროგრამები მოვაშვადოთ...

ეს არის ერთი მიმართულება. მეორე მიმართულებაა გახლავთ ისეთი საბაკალავრო პროგრამების განვითარება...

ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, სწორედ, ტყის დაცვასა და მოფრთხილებას...

შეიძლება ითქვას, გრანდიოზული კვლევითი მიმართულებით უნივერსიტეტის განვითარების პერსპექტივები...

დღეს, ვიდრე ჩვენ შევხვდებოდით, უნივერსიტეტში დიდი ბიუჯეტით, უნივერსიტეტში დიდი ბიუჯეტით...

პირველი და უმნიშვნელოვანესი გახლდათ ის, რომ უნივერსიტეტმა ცალსახად, თავისი განვითარების უახლოეს ექვს წელიწადში, განვითარების გეგმაში გაითვალისწინა ორი რამ...

სკოლაში განათლების მიმართულებითაც გვაქვს ჩვენი გეგმები. პარტნიორების დახმარებით, სკოლაში მასწავლებლის საბაკალავრო პროგრამას ვამზადებთ...

სოფო ბიძოშვილი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმატებული კურსდამთავრებულია. ასწავლის ბავშვებს, ყველაზე სათუთი და მოსაფრთხილებელი ბუნების ქმნილებებს. უყვარს ყველა და ყველაფერი. ფიქრობს ბევრს, შრომობს ბევრს. იცის, რომ პედაგოგის მოვალეობა ახალი თაობისთვის უკეთესი მომავლის შექმნაა. სოფოს რამდენიმე კითხვით მივმართეთ. ინტერვიუდან შეიტყობთ მისი საქმიანობისა და წარმატების საიდუმლოს.

– სოფო, მოგვიყვით თქვენს შესახებ. სკოლა, უნივერსიტეტი... რა გარემოებამ განაპირობა თქვენი პროფესიის არჩევა? მისასალმებელია თქვენი კავშირი უნივერსიტეტთან. დღეს, თქვენ სალექციო კურსებს უძღვევთ...

– წარმატებით დავამთავრე ახალციხის №5 საჯარო სკოლა, 2002 წელს. სწავლა გავაგრძელე მესხეთის ფილიალში, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფილოლოგიის ფაკულტეტზე, ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე. პროფესიის არჩევა, რამდენადმე, დედის რჩევამაც განაპირობა, თუმცა, ერთი პერიოდი ფსიქოლოგობაზეც ვოცნებობდი. ჩვენს უნივერსიტეტში გატარებული წლები ჩემთვის საინტერესო და ბედნიერი იყო. ჩვენი კურსი გამორჩეული იყო კრეატიულობით და აქტიურობით. 2010 წელს დავამთავრე მაგისტრატურა „ქართული ლიტერატურის მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტის“ სპეციალობით. მოხარული ვარ, რომ ვკითხულობ ლექციებს ჩემს მშობლიურ უნივერსიტეტში.

– გარკვეულ წლებში, გერმანიაში სწავლის მიზნით გაემგზავრეთ. რა მოგცათ საქართველოს ფარგლებს მიღმა დამოუკიდებელმა ცხოვრებამ?

– გერმანიაში გატარებულმა პერიოდმა რადიკალურად შეცვალა ჩემი შეხედულებები. ყველაფერს სულ სხვანაირად აფასებ, სამშობლოს სიყვარული კი გიასმაგდება. სრულიად მარტო გინევს ბრძოლა როგორც საკუთარ თავთან, ისე საზოგადოებასთან. იქ ბრძოლა ცხოვრებასთან არ მისწავლია, რადგან არ გჭირდება. იქ ყველა თავისი ცხოვრებით ცხოვრობს, არავინ გებრძვის, ყველაფერი ზედმინევენით მონესრიგებულია. მთვარია, კანონმორჩილი იყო. ჩავაბარე „ფილიფისის“ სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მხოლოდ ერთი სემესტრი ვისწავლე ანგლისტიკის ფაკულტეტზე. ვარჩიე სწავლა სამშობლოში გამეგრძელებინა. გერმანიაში გატარებული პერიოდი იყო უდიდესი ცხოვრებისეული გამოცდილება და სასიამოვნო მოგონებად დამრჩა.

– საქართველოში დაბრუნების შემდეგ გავრძელებული საქმიანობა, თქვენი პირველი სამსახური.

– უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, დავინყე მუშაობა ლაბორანტად ამერიკის კაბინეტში, ამავე უნივერსიტეტში. შემდგომში მუშაობა გავაგრძელე სრულიად სხვა

სფეროში, დაცვის პოლიციაში – კანცელარიის უფროსის თანამდებობაზე, სადაც სამი წელი ვიმუშავე.

– ოჯახის, შვილების როლი თქვენს ცხოვრებაში.

– მყავს მეუღლე, ლერი გელაშვილი და სამი შვილი – 8 წლის მარიამი, 7 წლის ბარბარე და 5 წლის თეიმურაზი. ისინი ყველაზე მთავარ როლს თამაშობენ ჩემს ცხოვრებაში. ვფიქრობ, შვილი დედის არსებობის მთავარი მამოძრავებელი ძალა და საზრისია. რომ არა ჩემი მეუღლე, ამდენ პასუხისმგებლობას ნამდვილად ვერ გავართმევდი თავს მარტო. იგი თანაბრად ინანილებს ბავშვების აღზრდასთან დაკავშირებულ ყველა მოვალეობას.

რებაში. უფრო მეტიც, ხშირად პედაგოგი მათ მომავალსაც კი განსაზღვრავს. ვფიქრობ, მასწავლებელი ზომიერად მკაცრი და, ამავდროულად, მეგობრულიც უნდა იყოს მოსწავლესთან, რა თქმა უნდა, დისტანციის ფარგლებში. არ ვიცი, მოზარდი როგორი ოჯახური მდგომარეობიდან მოდის სკოლაში და ძალიან დიდი სიფრთხილე გვმართებს. ხანდახან, მასწავლებლებს მშობლის როლის თამაშიც უწევთ. მიმაჩნია, რომ ჯერ ადამიანი უნდა იყო და მერე პედაგოგი. სწორედ მოსწავლეებისგან მიღებული სიყვარულია ის ძალა, რომე-



„უნივერსიტეტი გატარებული წლები ჩემთვის საინტერესო და ბედნიერი იყო“

– სოფო – პედაგოგის სტატუსით. როდის იწყება თქვენი ზიარება სასკოლო საქმიანობასთან და სად გრძელდება ეს გზა?

– ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო ბორჯომის ივანე ჯავახიშვილის სახელობის კერძო სკოლა-ლიცეუმში, რაც ფაქტობრივად იყო „ტრამპლინი“ ჩემი სამომავლო საქმიანობის. უდიდესი მადლობა მინდა გადავუხადო ქალბატონ დოლო შაყულაშვილს ნდობისთვის და პატივისცემისთვის. პარალელურ რეჟიმში ვმუშაობდი პროგრამაზე „ასწავლეთ ინგლისური დიასახლისებს“ და ვმონანილებობდი ბორჯომის მუნიციპალიტეტის რესურსცენტრში ამერიკელ კოლეგასთან ერთად, მეთოდურ პროგრამაზე. სამი წელია, რაც დავინყე მუშაობა №4 საჯარო სკოლაში და დღემდე ორივე სკოლაში ვმოღვაწეობ შეთავსებით.

– გვესაუბრეთ სწავლის პროცესში მასწავლებლის როლზე.

– მასწავლებლის როლი უდიდესია მოსწავლის ცხოვ-

რეში უფრო და უფრო მეტი განვითარების სურვილს აძლევს მასწავლებელს.

– რა ღონისძიებებს გეგმავთ იმისთვის, რომ მიიღოთ მოსწავლის აკადემიური პროგრესი?

– პედაგოგი ყოველდღე უნდა ვითარდებოდეს და არასდროს უნდა იყოს კმაყოფილი საკუთარი შესაძლებლობებით და მიღწევებით, უნდა მუშაობდეს საკუთარ თავზე. გარდა ამისა, ახალი თაობა თანამედროვე მეთოდებს და სიახლეებს ითხოვს, რაც უდაოდ განაპირობებს მოსწავლის ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში. მნიშვნელოვანია ღია საკვეთილება, კლასგარეშე ღონისძიებები განსხვავებული თემებით.

– მთავარი, რაც პედაგოგის პროფესიონალიზმს განსაზღვრავს, კონსტრუქციული, ორგანიზაციული და საკომუნიკაციო უნარ-ჩვევებია. საინტერესოა, რა სასწავლო მოდელებს იყენებთ სწავლების პროცესში? გვესაუბრეთ თქვენ მიერ ჩატარებულ ღონისძიებებზე.

ჩვენი კურსდამთავრებული

– №4 საჯარო სკოლაში ჩატარებული მატეს ორი ღონისძიება და ორი ღია გაკვეთილი, ორიც გაზაფხულზე დაგეგმილი. შემეცნებით-ინტერაქტიულმა ღონისძიებამ – „რა ვიცი ინგლისის შესახებ“, საინტერესოდ ჩაიარა, ამერიკაში ვიმოგზაურეთ. ამ ღონისძიებისთვის ახალციხიდან გვეწვივნენ ბატონი კვიციანი და ქალბატონი დორისი. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და უღრმესი მადლობა გადავუხადო ჩემს უსაყვარლეს პედაგოგს, ქალბატონ

ლი ნაწილია და აქ უჩვეულო არაფერია. ჩემი ხასიათის ძლიერი მხარე, ალბათ, შრომისმოყვარეობისადმი დიდი სიყვარულია, მიზანდასახულობაა. ვეთანხმები მოსაზრებას – მიზანი ნამდვილად ამართლებს საშუალებას.

– საუკეთესო პროფესიული რჩევა, რაც ოდესმე მიგიღიათ.

– არასდროს მაგინყვებდა ჩემი ფილოლოგი მეგობრის მოცემული რჩევა, როდესაც პირველად გამოვედი სასკოლო ასპარეზზე: „ვფიქრობ, პედაგოგისთვის, სირთულეების მიუხედავად, სიხარულის მომნიჭებელი უნდა იყოს მოსწავლეებთან მუშაობა. უნდა ვაღიაროთ თითოეული მათგანის ინდივიდუალობა და პიროვნულობა. შევძლოთ ზომიერების დაცვა როგორც შექების, ასევე საყვედურისას. ყოველი ახალი მასალა შევიტანოთ სიახლის განცდით, ისე, თითქოს პირველად შეგვაქვს, ინტერესით მოვისმინოთ თითოეულის მოსაზრება, შევუქმნათ უსაფრთხო გარემო, სადაც პატივისცემა და ურთიერთდახმარება პრიორიტეტად დაისახება და ზნეობრივი მოთხოვნები ნავუყენოთ საკუთარ თავს, პირველ რიგში და შემდეგ ჩვენს აღსაზრდელებს“.

– ვინაა თქვენთვის მისაბადი მაგალითი ცხოვრებაში?

– ცხოვრებაში მყავს ორი მისაბადი ადამიანი: გამზრდელი ბებია, 90 წლის თამარ ყიფიანი – კეთილშობილების, უსაზღვრო სიკეთის მთესველი და მატარებელი, დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე, მოსიყვარულე, კაცთმოყვარე, ნიგნიერი, ბრძენი ადამიანი და დედაჩემი, გერმანისტი, პროფესორი ლალი ბერიძე, სამეცნიერო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი. ცოტა მეუხერხულეა ვისაუბრო საკუთარ მშობელზე, მის დადებით მხარეებზე; უბრალოდ, შემიძლია ვთქვა, რომ თუ დღეს ფეხზე დამოუკიდებლად, მყარად ვდგავარ, მხოლოდ მისი დამსახურებაა. ბედნიერი ვიქნები თუ შევძლებ, ღირსეულად დავაფასო მათი ამაგი და იმედები ბოლომდე გავამართლო.

– რას თვლით მოსწავლეების სულამდე მისასვლელ უშოკლეს გზად?

– ქრისტესმიერ სიყვარულს, სიბოძს და სულიერ თანადგომას.

– რამდენად ახერხებთ პროფესიულ განვითარებას, როგორ იყენებთ თავისუფალ დროს და როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?

– თავისუფალ დროს ვატარებ ოჯახთან ერთად. ვცდილობ შვილებს მეტი დრო დავუთმო, რადგან მთელი კვირის განმავლობაში ცოტა დრო გვრჩება ერთმანეთისთვის.

– მადლობა, სოფო, საინტერესო საუბრისთვის.

ინტერვიუერი
ლიკა ზაზაშვილი



